საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 12

ქ. თბილისი **26 დეკემბერი, 2018 წელი.**

სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, კაპანაძე დავით, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, სალუქვაძე იოსებ, ჩიტაშვილი მარინე, პაპავა გივი, შალიკაშვილი მორის, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. დისერტაციისა და დაცვის დოკუმენტაციის ელექტრონულად განთავსების საკითხის განხილვა.
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულების ცვლილების საკითხის განხილვა.
3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტის **ნათია სვანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის" დოქტორანტ **ანა მანაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ხათუნა ჭითანავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
7. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნატა სტურუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
8. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ხარიტონაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
9. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის - 2019 წლის 17 იანვარი - დამტკიცების შესახებ.
10. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ფატი ძოწენიძის** სადისერტაციო ნაშრომის ("ქრონიკული

ტკივილის მართვაში არსებული ბარიერების შეფასება და მათი ზემოქმედება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე") დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის - 2019 წლის 17 იანვარი - დამტკიცების შესახებ.

11. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია" დოქტორანტ **მანონი კურტანიძის** სადისერტაციო ნაშრომის („შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს შესწავლა ულტრაიისფერი-ხილული სპექტროსკოპული მეთოდით") შემფასებლების დამტკიცების შესახებ;

12. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **გიორგი მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის - 2019 წლის 11 იანვარი - დამტკიცების შესახებ;

13. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ალექსანდრე მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის - 2018 წლის 28 დეკემბერი - დამტკიცების შესახებ;

14. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ („ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი რევაზ გველესიანი);

15. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ნინო ზურაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ (სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „დეველოპერული კომპანიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები საქართველოში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი დავით ნარმანია);

16. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **დიმიტრი ჯავახაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

17. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ლევან სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

18. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე ერგეშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

19. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლია გვაზავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

20. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

21. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „არქეოლოგია" დოქტორანტ **გვანცა ვაჩაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

22. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **მარიამ ქებურიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის - 2019 წლის 29 იანვარი - დამტკიცების შესახებ.
23. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ივანე მჭედელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების საბოლოო ვარიანტის აკადემიურ საბჭოზე წარდგენისა და დისერტაციის/დაცვის დოკუმენტაციის ელექტრონულად განთავსების თაობაზე. აღინიშნა, რომ 27 დეკემბერს იმართება თსუ აკადემიური საბჭოს სხდომა, სადაც მოხდება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვა; საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი უზრუნველყოფს თსუ სერვერზე ელექტრონული სივრცის გამოყოფას, სადაც ფაკულტეტები განათავსებენ დისერტაციის დაცვის მასალებს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ საბჭოს წევრებისათვის და საბჭოს აპარატისათვის როგორც თსუ-ს სივრცეში, ასევე ნებისმიერი ადგილიდან.
აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა, ე. ნადარიამ, მ. ჩიტაშვილმა, ლ. გოგიაშვილმა, მ. შალიკაშვილმა, თ. ჯობავამ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა, დალი კანდელაკმა, საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ აპარატის დებულებაში არის გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის მის სრულფასოვან საქმიანობას. ფაკულტეტებიდან არის შემოსული წინადადებები დებულებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, კერძოდ, აპარატის სამდივნოს გაუქმებაზე. ასევე მოქმედი დებულებით არაა გათვალისწინებული აპარატის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) შემთხვევაში ვინ ასრულებს მის მოვალეობას და სხვ. მან აღნიშნა, რომ შეიმუშავა დებულების ახალი ვარიანტის პროექტი, რომელიც საბჭოს წევრებს გადაეგზავნებათ განსახილველად.
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ აპარატში აუცილებელია უფროსის გარდა იყოს ასევე სპეციალისტის თანამდებობაც, რომელიც დაეხმარება აპარატის უფროსს საქმიანობის წარმართვაში.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რადგან ყველა ფაკულტეტი ითხოვს აპარატის სამდივნოს გაუქმებას, საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც მათი მოსაზრებები, ასევე აპარატის უფროსის წინადადებები.
დაადგინეს: აპარატის დებულების ახალი ვარიანტის პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს თსუ-ის სადისერტაციო საბჭოს წევრებს და თსუ-ის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს კვლავ ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრებიან სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, მათ შორის არც თავმჯდომარე და მდივანი.
დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **ნათია სვანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, მათ შორის, არც თავმჯდომარე და არც მოადგილე.
დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია" დოქტორანტ **ნათია სვანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „რუსეთისმცოდნეობა" დოქტორანტ **ანა მანაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჯავახიშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „ევროპული წყაროები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-19 საუკუნის 30-50-იანი წლები)" - სამეცნიერო ღირებულების, თემის აქტუალობისა და სამეცნიერო სიახლის თაობაზე. აღნიშნა, რომ დისერტაცია შესრულდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რუსეთის ისტორიის კათედრაზე; დოქტორანტმა სწავლის პერიოდში მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი და სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში, სადაც მოიძია მასალები. მონაწილეობა მიღებული აქვს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში (გრანადა, გროზნო) და ასევე გამოქვეყნებული აქვს სტატიები უცხოეთში. მან ასევე ისაუბრა დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დისერტაცია შეფასდა 83 ქულით.
აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიამ იკითხა, თუ რატომ არ იყო არსად მითითებული გამოქვეყნებული შრომების სია.
მოისმინეს: კომისიის მდივანმა თამარ ხოხობაშვილმა განმარტა, რომ გამოქვეყნებული შრომების სია მითითებულია ავტორეფერატის 27-ე გვერდზე.
აზრი გამოთქვა: დ. კაპანაძე დაინტერესდა დოქტორანტის მიერ უცხოეთში მოძიებული მასალებით და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი ახალი წყაროებით.
მოისმინეს: კომისიის მდივანმა თამარ ხოხობაშვილმა დაასახელა დოქტორანტის მიერ მოძიებული სამი წყარო, რომელიც აქამდე კვლევის საგანს არ წარმოადგენდა: აპოლონიარ რიუკევიჩის - „მოხუცი ერევნელის მოგონებები"; გრაფი დე სუზანეს - „კავკასიური პროვინციები რუსეთის ბატონობის ქვეშ" და თეოფილ ლაპინსკის - „კავკასიელი ხალხი და მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის წინაღმდეგ".
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (14 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის

კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ანა მანაგაძისთვის** რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ხათუნა ჭითანავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის აკადემიკოს ლევან ალექსიძეს ინფორმაცია დისერტაციის სამეცნიერო ღირებულების, თემის აქტუალობისა და სამეცნიერო სიახლის თაობაზე. დოქტორანტის დამსახურებაა, რომ ნაშრომში ერთმანეთს შეუთავსა თეორია და პრაქტიკული გამოცდილება. შემუშავებულია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც საკმაოდ ყურადსაღებია სახელმწიფოს მხრიდან. დისერტაცია შეფასდა 81 ქულით.
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა გამოქვეყნებული ნაშრომებით.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა იკითხა, იყო თუ არა გამოქვეყნებული ნაშრომები დისერტაციის ნაწილები?
მოისმინეს: ლ. ალექსიძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტის გამოქვეყნებული ნაშრომები აკმაყოფილებს ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სტატიები წარმოადგენს დისერტაციის ნაწილებს.
აზრი გამოთქვა: დ. კაპანაძე დაინტერესდა დისერტაციაში შემუშავებული რეკომენდაციებით. ეს მსოფლიო მასშტაბის მიგნებებია თუ მხოლოდ საქართველოსთვის?
მოისმინეს: ლ. ალექსიძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა იქნეს ასახული საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმებში, საქართველოს კანონში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ტრეფიკინგთან ბრძოლის და პრევენციის სფეროს სხვა აქტებში.
აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრს, მორის შალიკაშვილს, სთხოვა კომენტარის გაკეთება დისერტაციასთან მიმართებაში.
მოისმინეს: მ. შალიკაშვილმა ისაუბრა დისერტაციის აქტუალობაზე და დოქტორანტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მნიშვნელობაზე.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (14 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ხათუნა ჭითანავასთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართალი" დოქტორანტ **ნატა სტურუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.
დაადგინეს: იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართალი" დოქტორანტ **ნატა სტურუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ხარიტონაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თედო ნინიძის ინფორმაცია დისერტაციის - „მესამე პირები სამოქალაქო პროცესში" - სამეცნიერო ღირებულების, თემის აქტუალობისა და სამეცნიერო სიახლის თაობაზე. აღნიშნა, რომ თემა ხასიათდება უნივერსალურობით. აღნიშნული პრობლემის მიმართ დიდი ინტერესია. აქამდე ამ საკითხზე საქართველოში არ შექმნილა სპეციალური ნაშრომი. ნაშრომს წვლილი შეაქვს სამოქალაქო საპროცესო სამართლის განვითარებაში. დასკვნით ნაწილში დოქტორანტის მიერ შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები და პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები. იგი ნაშრომზე 10 წლის განმავლობაში მუშაობდა. ძირითადი დებულებები გამოქვეყნებული აქვს 7 სტატიის სახით როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ნაშრომი შეფასდა 81 ქულით.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიამ აღნიშნა, რომ გამოქვეყნებული ნაშრომები ნამდვილად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (14 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ხარიტონაშვილისათვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის - „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები" - დაცვის თარიღი - 2019 წლის 17 იანვარი.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ნინო ლიპარტიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად დაუმტკიცდეს 2019 წლის 17 იანვარი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ფატი ძოწენიძის** სადისერტაციო ნაშრომის ("ქრონიკული ტკივილის მართვაში არსებული ბარიერების შეფასება და მათი ზემოქმედება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე") დაცვის კომისია და დაცვის თარიღი - 2019 წლის 17 იანვარი.

აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილია საკმაოდ კომპეტენტური კომისია და მხარს უჭერს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობას.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ

არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ფატი ძოწენიძის** სადისერტაციო ნაშრომის ("ქრონიკული ტკივილის მართვაში არსებული ბარიერების შეფასება და მათი ზემოქმედება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე") დაცვის თარიღი - 2019 წლის 17 იანვარი და დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით:

ა) პაატა იმნაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის პროფესორი;

ბ) ნატა ყაზახაშვილი - მედიცინის დოქტორი , თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის პროფესორი;

გ) ლაშა ლორია - მედიცინის დოქტორი, თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

დ) ქეთევან დადიანი - მედიცინის დოქტორი , თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

ე) თამარ რუხაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ ონკოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის კათედრის პროფესორი;

ვ) მიხეილ შავდია - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის განყოფილების გამგე;

ზ) მარიამ ველიჯანაშვილი - მედიცინის დოქტორი (დარგი პალიატიური მედიცინა), უნივერსიტეტი „გეომედის" მედიცინის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი, თსუ მოწვეული პედაგოგი;

თ) მაია კერესელიძე - მედიცინის დოქტორი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამედიცინო სტატისტიკის დეპარატმენტის ხელმძღვანელი;

ი) რუსუდან კვანჭახაძე - მედიცინის დოქტორი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, არაგადამდებ დაავადებათა კონტროლის სპეციალისტი, „ნიუ ვიჟენ" უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია" დოქტორანტ **მანონი კურტანიძის** სადისერტაციო ნაშრომის („შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს შესწავლა ულტრაიისფერი-ხილული სპექტროსკოპული მეთოდით") რეცენზენტები (შემფასებლები).

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია" დოქტორანტ **მანონი კურტანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებად:

ა) ზურაბ ფაჩულია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორი, ქიმიის დოქტორი;

ბ) ეთერი ღელაღუტაშვილი - თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **გიორგი მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი - 2019 წლის 11 იანვარი.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ეკონომიკის" დოქტორანტ **გიორგი მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად - 2019 წლის 11 იანვარი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ალექსანდრე მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის **დაცვის თარიღი** - 2018 წლის 28 დეკემბერი.
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ დასვა კითხვა, თუ რატომ არ შეირჩა სხვა თარიღი. საბჭოს სხდომის ჩაუტარებლობის შემთხვევაში, მოხდებოდა დაცვის გადადება და დოქტორანტს მოუწევდა კვლავ ლოდინი. სასურველია, ფაკულტეტის საბჭომ უფრო გონივრული ვადები დაადგინოს.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ალექსანდრე მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის **დაცვის თარიღად** - 2018 წლის 28 დეკემბერი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის **დაცვის კომისია** („ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი რევაზ გველესიანი).
აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიაში წარმოდგენილები არიან ორივე მიმართულების - ტურიზმისა და ეკონომიკური პოლიტიკის - მეცნიერები. შესაბამისად, შესაძლებელია კომისიის წარმოდგენილი შემადგენლობით დამტკიცება.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
ა) თსუ პროფესორი, აკადემიკოსი - ვლადიმერ პაპავა;
ბ) თსუ პროფესორი, აკადემიკოსი - ავთანდილ სილაგაძე;
გ) პროფესორი - გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი);
დ) თსუ პროფესორი - სიმონ გელაშვილი;
ე) თსუ პროფესორი - ელგუჯა მექვაბიშვილი;
ვ) თსუ პროფესორი - ნოდარ ხადური;

ზ) თსუ პროფესორი - ეთერ ხარაიშვილი;
თ) თსუ პროფესორი - მირიან ტუხაშვილი;
ი) თსუ ასოცირებული პროფესორი - ნანა კაციტაძე;
კ) თსუ ასოცირებული პროფესორი - გულნაზ ერქომაიშვილი;
ლ) თსუ ასოცირებული პროფესორი - ეკა ლეკაშვილი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ნინო ზურაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები (შემფასებლები).
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტ **ნინო ზურაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებად:
დავით სიხარულიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი;
ნინო ლომიძე - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **დიმიტრი ჯავახაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წარმომადგენელი.
დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **დიმიტრი ჯავახაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ლევან სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.
დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ლევან სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე ერგეშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წარმომადგენელი.
დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე ერგეშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლია გვაზავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წარმომადგენელი.
დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლია გვაზავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს ვერ განიხილავენ, რადგან სხდომას არ ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.
დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „არქეოლოგია" დოქტორანტ **გვანცა ვაჩაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია („ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკა კოლხეთში და ინტერკულტურული ურთიერთობები (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში)", ხელმძღვანელი: პროფ. ვახტანგ ლიჩელი).
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დაცვის კომისია საკმაოდ კომპეტენტური მეცნიერებითაა შედგენილი.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „არქეოლოგია" დოქტორანტ **გვანცა ვაჩაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
ა) გურამ გრიგოლია - თსუ ემერიტუსი პროფესორი, არქეოლოგიის მეცნ. დოქტორი;
ბ) გურამ ლორთქიფანიძე - თსუ ემერიტუსი პროფესორი, არქეოლოგიის მეცნ. დოქტორი;
გ) ზვიად კვიციანი - თსუ ასოც. პროფესორი, არქეოლოგიის დოქტორი;
დ) მარინე ფუთურიძე - თსუ ასოც. პროფესორი, არქეოლოგიის დოქტორი;
ე) მარიკა მშვილდაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ისტორიის დოქტორი;
ვ)მარინე ფირცხალავა - უფ. მეცნ. თანამშრომელი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი);
ზ) გივი ინაშვილი - პროფესორი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **მარიამ ქებურიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი - 2019 წლის 29 იანვარი.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **მარიამ ქებურიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად - 2019 წლის 29 იანვარი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ივანე მჭედელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია („პოსტსაბჭოთა ქართული და უკრაინული ლიტერატურული დისკურსი პოსტკოლონიალიზმის კონტექსტში", ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ბაქანიძე, პროფ. ნანა გაფრინდაშვილი).
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომას, სადაც განიხილეს აღნიშნული საკითხი და მსჯელობის შემდეგ ფაკულტეტის საბჭომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. მან დაასახელა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ნანა გაფრინდაშვილის არგუმენტები, კერძოდ: სამეცნიერო ხელმძღვანელები სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში შეყვანილი არიან სათათბირო ხმის უფლებით და ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ასევე წარმოადგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მოქმედი დებულება, რომელიც არ კრძალავს სამეცნიერო ხელმძღვანელის დაცვის კომისიის წევრად ყოფნას. ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას კორესპონდენცია აპარატის უფროსის დ. კანდელაკის წერილზე: „თქვენს 2018 წლის 25 დეკემბრის N26707/10 კორესპონდენციაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, ,,ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე." ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ, როგორც კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ თქვენ კორესპონდენციაში დასმულ საკითხზე უნდა იმსჯელოს და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზემოხსენებული საკანონმდებლო დანაწესის გათვალისწინებით."
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ ორივე სამეცნიერო ხელმძღვანელის სათათბირო ხმის უფლებით შეყვანა კომისიაში, გამოიწვევს იმას, რომ დისერტაციას შეაფასებს ხუთი წევრი. ასევე აღნიშნა, რომ კომისიის წევრების უმრავლესობა თსუ უკრაინისტიკის ცენტრის თანამშრომლები არიან. მოიწვიონ კომისიის წევრებად სხვა უსდ-ებიდან ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან.
აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ თუ დისერტაციას ესწრება შვიდივე წევრი, შეაფასებს 5 წევრი და 2 - იქნება სათათბირო ხმით, ეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დარღვევაა. ვერ დავეთანხმები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს დაცვის კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. თსუ-ს თანამშრომელთა გარდა, სხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტის თანამშრომლებიც იკვლევენ პოსტკოლონიალიზმის საკითხებს; მაგ.: ილიას უნივერსიტეტის, ასევე შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერები. კომისიის შემადგენლობა უნდა განახლდეს.

აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ ვალდებულები არიან დაიცვან საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება და შესაბამისად, არ დაუჭერს მხარს კომისიის შემადგენლობას წარმოდგენილი სახით.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მუშაობის განმავლობაში ასეთ პრეცენდენტს ადგილი არ ჰქონია. თუ დავუშვებთ, რომ 7 წევრისგან შედგენილი კომისიიდან არ გამოცხადდა 2 ან 3 სხვა წევრი, დარჩენილი წევრებიდან - ორი სარგებლობს სათათბირო ხმით, შედეგად მივიღებთ, რომ სამმა/ორმა წევრმა უნდა შეაფასოს დოქტორანტი, რაც მიუღებელია.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიამ აღნიშნა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი არის დაინტერესებული პირი და არ უნდა შედიოდეს დაცვის კომისიაში.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. ღია კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ მომხრეა საბჭოს 13 წევრი, თავი შეიკავა - ქეთევან ხუციშვილმა.

დაადგინეს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ივანე მჭედლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია არ დამტკიცდეს წარმოდგენილი შემადგენლობით.

ა) ოთარ ბაქანიძე - თსუ უკრაინისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი;

ბ) ნანა გაფრინდაშვილი - თსუ პროფესორი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი;

გ) ნინო წერეთელი - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

დ) გაგა ლომიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

ე) ნინო ნასყიდაშვილი - თსუ უკრაინისტიკის ცენტრის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ვ) სოფიო ჩხატარაშვილი - თსუ უკრაინისტიკის ცენტრის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ზ) მარიამ მირესაშვილი - პროფ., ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი